

პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა: ნორმატიული ჩარჩო და
ევროკავშირის სტანდარტი

ავტორი: თინათინ ახვლედიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლის და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა სამეცნიერო
ხელმძღვანელი:

კახაბერ გოშაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ახვლედიანი

20.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ადამიანის ისეთ მნიშვნელოვან უფლებას ეხება, როგორცაა პერსონალური მონაცემების დაცვა. იგი მართალია არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, თუმცა დემოკრატიულ სახელმწიფოებში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის ძირითად უფლებად განიხილება და თითოეული ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ნაშრომის მთავარ საკვლევ თემას პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა წარმოადგენს. კვლევის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის როგორც ევროპულ, ასევე ქართულ სამართლებრივ რეგულირებაზე, ამით კი უფრო თვალსაჩინო გახდეს რა ეტაპზეა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა, რამდენად მაღალ სტანდარტებს აწესებს მონაცემთა გადაცემის პროცესში მისი დაცულობის უზრუნველსაყოფად და რა გზა უნდა განვლო, რათა რეგულირების ევროპულ სისტემას დაუახლოვდეს. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია ევროკავშირისა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზების შედარებით-სამართლებრივ ანალიზი და გაცემულია გარკვეული რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობის დასახვეწად.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, კვლევაში გამოყენებულია აღწერილობითი და შეფასებითი მეთოდი, რაც აღწერს უშუალოდ პერსონალური მონაცემების არსს, გვაცნობს ძირითად შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო აქტებს. ასევე, ვხვდებით შედარებით-სამართლებრივ მეთოდს, რომლის გამოყენებითაც ნაშრომში ასახულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების მიდგომა მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის რეგულირების კუთხით, ასევე სტატისტიკური ანალიზი და პრეცედენტული სამართალი.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემები, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა, მონაცემთა დამმუშავებელი, მონაცემთა სუბიექტი, უფლებამოსილი პირი, შესაბამისობის გადაწყვეტილება.

Abstract

This paper is about such an important human right as the protection of personal data. It is not an absolute right, but in democracies the protection of personal data is considered as a basic human right and takes an important place in the legal system of each country.

The main research topic of the paper is the international transfer of personal data. The aim of the research is to provide readers with information on both European and Georgian legal regulation of international data transfer, to make it clearer on what stage our country's legislation is at, how high standards are set to ensure its protection in the data transfer process and what path should be taken to move closer to the European regulatory system. Accordingly, the paper presents a comparative legal analysis of the legal framework of the EU and Georgia and provides some recommendations for improving the legislation of Georgia.

In order to study the issue better, the research uses a descriptive and evaluative method, which directly describes the essence of personal data, introduces us mainc domestic or international acts. We also find a comparative-legal method, which uses the paper to reflect the approach of Georgia and other countries in regulating international data transmission, as well as statistical analysis and case law.

Keywords: personal data, international data transfer, data processor, data subject, authorized person, compliance decision.